სამშობლო

კვირა,
3 აპრილი

წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელ 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 326 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 326

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მიჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე „სამშობლო"-ზე წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირს 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ. ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო"

ღრმად დამწუხრებულნი არტემ, აისონ და ელმასი ხალვაშები, ალფესი, ფუდუ, ნდრო და ვლადიმერ სურგულაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი ძვირფასი მეუღლის, მეორე და მესამე საყვარელი რძლის, მეოთხე დაუვიწყარ შვილის და უკანასკნელნი საყვარელი დის

ეკატერინე (კატო) ალფეზის ასულის ხალვაშისას,

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 3 აპრილს, ს. ქვაიშში 12 საათზე.
სდ. ნიგოითი 1—325—1

მცხოვრებთა საყურადღებოთ.

მოკლე ხნით ისყიდება კარგი ხარისხის

ნიგოზი

ურჩეველი კაკლათ) **ფირვანქა 20 კაპ.,** პუშკინის ქუჩა, სახლი
გოკიელოვის შვილებისა, ფოტოგრაფია „პუშკინის" პირდაპირ.
ადგილისათვის გამზადებულია 5 და 10 გირვანქიანი ტომსიკები,
21 შეიძლება ფუთობით 7 მან. 50 კ. 3—1— 3 5-7

პრილს, საღამოს 7 საათ., შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში
ოხდება ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების

წევრთა კრება.

განსახილველი საგნები:

მევენახეობის მდგომარეობა ჩვენში და საწამლო მასალები; 2. სა-
ურნეო საზოგადოების უახლოესი მიზნები: 3. მეაბრეშუმეობ და აბ-
უმის თესლის შეძენა; 4. სათესლე და საკვები სიმინდი ქუთაისის
24 მაზრაში. ახალი წევრების მიღება. 2—1

აბრეშუმის თესლი.

შემოზიდულია საფრანგეთიდან და მ.ღებული თბილისის სააბრე-
მო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის,
ცნობილი კავკასიაში და განგებ გამოგზავნილი საქართველოში
გავრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმართონ
რდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარ-
მადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის მე ჭელიძეს, აბაშაში
იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.
ფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის
მიერ **ბადიკ კოსიერი.** თ.

ს.|ს. ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში
ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ
ოველთ ცნობილი აბრეშუმის თესლი
ხ. ხრისტოდულიდის.
ამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.
დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვსკაია ქუჩა, ალიხბეგოვის სახლში. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87. თ. 14

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ლეჩულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვულისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილით 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ. 2

იყიდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ხეტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები. მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3 1—თ. 113

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ. 11

ბეითალი პ. ვ. ნეურონოვი ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 1 აპრილი ისკიულის რაიონში, ხიდების სათარ სიმაგრეებთან საარტილერიო სროლაა 30 მარტს, საღამოთი, გერმანელები ხან გამოშვებით იერიშებს აწარმოებდენ სვენტინისა და იელზენის ტბებს შუა; იერიშები მოვიგერიეთ საარტილერიო ცეცხლის გაჩაღების შემდეგ მოპირდაპირდაპირემ კვლავ გაიმეორა იერიში ამავე ადგილას, მაგრამ მეორეჯერვე უკუვაქციეთ არტილერიის ცეცხლით, დასტოვეს რა ბრძოლის ველზე აურაცხელი მოკლული და დაჭრილი. მტრის არტილერიამ გაცხოველებული მოქმედება აწარმოვა მიაძიოლისა და ნაროჩის ტბის რაიონებში, და დაბა სმორგონის ჩრდილოეთით. სადგურ სესლევინოსთან ჩვენმა ბატარეამ მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდო დ. გლუბოკოესთან. გალიციაში, ტრიებუხოვცის რაიონში, ბუჩაჩონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. მდ. სტრიპის შესართავთან ჩვენმა ნაწილებმა ხელში ჩაიგდეს პოპოვის მაღლობი, სასაფლაო და თხრილები ამ რაიონის სამხრეთით. წართმეულ პოზიციების დასაბრუნებლათ მტერმა კონტრიერიშები მოიტანა, მაგრამ დიდი ზარალით უკუვაქციეთ იგი. ამ ჟამად მიღებული ცნობების მიხედვით ამ ბრძოლაში ტყვეთ ჩავიგდეთ ხელში ასზე მეტი ჯარის კაცი, მათ შორის 5 ოფიცერია. ხოტინის მარცხენა ფრთაზე, დილის 11 საათზე, 30 მარტს მტრის ჰაეროპლანი, რომელიც ბოიანის მხრიდან მოფრინავდა, შეხვდა ჩვენს ჰაეროპლანებს და იძულებული გახდა უკანვე გაბრუნებულიყო. მტრის მეორე ჰაეროპლანმა მოახერხა დნესტრზე მდებარე ქვანცამდი მოფრენა. ხოტინის პირდაპირ და ჩამოაგდო აქ ხუთი ყუმბარა. ყუმბარის ნამსხვრევისაგან დაიჭრა დარაჯი ჯარის კაცი ანატოლი პოსტავნევი. როცა ხელმწიფე იმპერატორს, რომელიც იმ ხანად ათვალიერებდა ქვანცის ჩრდილოეთით 6 ვერსის მანძილზე მდებარე მიდამოებს, მოახსენეს და ამ ამბის შესახებ, ბრძანა დაჭრილი დარაჯის დასაჩუქრება მეოთხე ხარისხის გიორგის ჯვრით.

კავკასიის ასპარეზი.

არზრუმის დასავლეთით ბრძოლას განაგრძობენ. 6 დღის განუწყვეტელი იერიში ოსმალებისა მომართული კავკასიის ჯარის ცენტრის წინააღმდეგ მოგერიებულ იქნა, მტრისთვის დიდი ზარალით. მტერი უწესრიგოთ უკან იხევს. ჩვენი ნაწილები ენერგიულათ უკან სდევნიან

დანარჩენი დეპეშა იხილეთ მე-4-ე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბულგარეთის მთავარ-სარდლის განცხადება.

კოპენჰაგენიდან დეპეშით იტყობინებიან: ბერლინში ბულგარეთის ძალების მთავარსარდალი ჟეკოვი ჩამოვიდა. მან კორესპონდენტთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

რუმინია ნეიტრალურ მხარეთ დარჩება ვინაიდან ცენტრალური სახელმწიფოები ბევრს დაუთმობენ მას. ჩვენი საბოლოო გამარჯვება ეჭვს გარეშ ა; გერმანიის სიმშილით დამორჩილება შეუძლებელია; დარწმუნებული ვარ, რომ ზაფხულზე ზავი უთუოდ ჩამოვარდება და ეს ზავი ყველასთვის ხელსაყრელი და საპატიო იქნება.

რუსეთის მთავრობის განცხადება.

„პრავიტ. ვესტ."-ში სწერია: ვერდენთან ბრძოლაში გერმანელთ ანგარიში წაუხდათ კრონპრინცის ლაშქარი ახლა ვერდენთან დემონსტრაციის მოხდენას კი არ სცდილობს, არამედ განზრახვა აქვს მთავარი შეტევა ვერდენთან აწარმოოს; და ამას მით უფრო ჩაიდენს იგი, რადგან სხვა ადგილებისთვის მას ძალა აღარ დარჩა. გერმანელთა ასეთ მდგომარეობას ის გარემოება გვიჩვენებს, რომ ახლა ისინი იერიშებს მდ. მაასის დასავლეთის მხარეზე უფრო და უფრო აფართოებენ. ვილჰელმის ჯიუტობით გერმანელნი ძალისგან იცლებიან და სათადარიგო რაზმები მათ ელევათ; როცა მათ ძალები სულ გამოელევათ, მაშინ ფრანგები, რომელთაც სათადარიგო ლაშქარი ბლომად ჰყავთ შემონახული, საერთო შეტევას დაიწყებენ, რაც, რა თქმა უნდა, გერმანელების სრული კატასტროფით დასრულდება; და ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ამავე დროს გერმანელთა წინააღმდეგ სხვა მოკავშირეებიც, იმ გეგმის თანხმად, რომელიც მათ პარიზის კონფერენციაზე შეიმუშავეს, შეტევას გზას დაადგებიან.

ომი და შვეციის სოციალისტები.

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, რომ შვეციის სოციალისტთა შორის პარტიის ლიდერთა უთანხმოების გამო დიდი ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმაა.

სოციალისტების კონგრესის დადგენილება, რომ საყოველთაო გაფიცვა უნდა მოეწყოს თუ მთავრობა გაბედავს და ეგრეთ წოდებულ „აქტივისტების", ომის მომხრეების აგიტაციის მოვლენის, ქვეშ დაიწყებს მოქმედებას, პარტიის უმრავლესობამ თანაგრძნობით მიიღო.

ქ. ქუთაისი, 3 აპრილი.

რუსეთის სამინისტროში. რუსეთის სამინისტროში წევრთა მეთოდიური შერჩევა ხდება. ამ მოკლე ხანში სამსახურიდან გადააყენეს პრემიერი გორემიკინი, გონიერი სახელმწიფო კაცი, მიმართულებით მემარჯვენე, პიროვნება დამოუკიდებელი, ვინც ფარულ გავლენას არ ემორჩილებოდა და ქვეყნის საქმეებს დღის სინათლეზე აწარმოებდა. მის ნაცვლად დაინიშნა ბ-ნი შტიურმერი.

სამსახურიდან გადააყენეს შინაგან საქმეთა მინისტრი ხვოსტოვი,

გადაყენებულ მინისტრის პორტფელი თვით პრემიერმა დაიჭირა.

გადააყენეს სამსახურიდან სამხედრო მინისტრი პოლივანოვი, პიროვნება ძლიერი, შრომის მოყვარე, მომქმედი, გულწრფელი, რომელმაც საერთო ნდობა დაიმსახურა და სულ მოკლე ხანში თვალსაჩინოდ გამოაბრუნა მისი წინამოადგილისაგან, სუხომლინოვისაგან სამხედრო სამინისტროს ძალზე შერყეული საქმეები: მან მოაწყო და შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწია სამხედრო სამრეწველო კომიტეტებს და საომარ მასალების დამზადების საქმე შესამჩნევად გამოასწორა. პოლივა-

მსოფლიო ომი.

(დ ღ ი უ რ ი).

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ფრონტზე რუსეთის ჯარი კვლავ იმარჯვებს: არზრუმის დასავლეთით დაწყებული ბრძოლა გრძელდება, ვის სასარგებლოთ, ეს არაა გადმოცემული. კავკასიის ჯარების ცენტრის წინააღმდეგ მიმართული ოსმალთა იერიშები მტრის დამარცხებით დასრულდა. რუსეთის ჯარმა უკუაქცია ოსმალნი, რომლებიც ბრძოლის ველიდან გარბიან; კავკასიის ჯარი მათ უკან დაედევნა. ეს მოხდა ბითლისის რაიონში. სპარსეთის რაზმებზე კი დღეს არა ისმის რა.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ასპარეზზე სამხედრო ძალთა წონასწორობა ისევ დაცულია, თუმცა გერმანელებმა ჩრდილოეთის ფრონტზე და დვინსკის სამხრეთით შეტევა გააძლიერეს; მაგრამ სამაგიეროთ რუსეთის ჯარი მდინ სტრიპაზე და გალიციაში აძლიერებს შეტევას მდ. სტრიპის შესართავთან მან „პოპოვის საფლავის" სიმაღლე დაიკავა. გერმანელებმა, როგორც დეპეშიდან სჩანს შეტევის მთავარ პუნქტად სვენტიანისა და ილზენის ტბებ შუა მდებარე ადგილი აირჩიეს (დვინსკის რაიონში, დვინსკიდან 8—10 ვერსით) აქ, ამ ადგილებში ორჯერ წამოვიდენ იერიშით, მაგრამ ორივეჯერ უკუქცეულ იქნენ. რიგის საწინააღმდეგოთ ისევ იკსიუკსკის სიმაგრეებს უშენდენ ყუმბარებს, მაგრამ შედეგი ჯერ არა სჩანს

საფრანგეთის ფრონტზე. გერმანელებმა ინგლისელების წინააღმდეგ დიდი ენერგია გამოიჩინეს: ბევრგან შეუტიეს მათ და რამდენიმე ალაგას ინგლისელები დაატყვევეს კიდეც. ვერდენთან ისინი შეუპოვრათ მკაცრ ბრძოლას განაგრძობენ განსაკუთრებით 304 № სიმაღლის დასაკავებლათ. მორტამზე და სხვა სიმაღლეების შესახებ დღეს არაფერს იწერებიან; მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე (აღმოსავლეთით) გერმანელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ მულენვილის სექტორის რომელსაც განუწყვეტლივ ყუმბარებს უშენდენ ცნობა არ მოსულა სხვა ფრონტის შესახებ, გარდა იტალიისა, სადაც პოზიციურ ბრძოლას აწარმოებენ და სადაც თვალსაჩინო ნაბიჯი კარგა ხანია ვერც ერთმა მხარემ ვერ გადადგა იტალიამ ბრძოლით დღემდე ის ადგილებიც ვერ დაიკავა, რასაც ავსტრია მას ნებაყოფლებით უთმობდა

* * *

ნოვის სანაცვლოდ მოწვეულია ბ-ნი შუვაევი, სულისკვეთებით მემარჯვენე.

ამ დღეებში შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ დაინიშნა გრაფი ბობრინსკი, უკიდურესი მემარჯვენე, რუსეთის გაერთიანებულ თავად-აზნაურობის საბჭოს თავმჯდომარე. ბობრინსკის სიტყვითვე მისი დანიშვნა ამ დიდს თანამდებობაზე იმის მომასწავებელია, რომ მაღალ მართველ წრეებს სწადიათ რუსეთის მიმდინარე პოლიტიკის წარმოებაში იხელმძღვანელონ გაერთიანებულ თავად-აზნაურობის პოლიტიკური მიზნებით და მისწრაფებებით და მასთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული იმუშაონ. სამინისტროს ამგვარი შემადგენლობის შექმნას შემთხვევითი ხასიათი აქვს, ამ გარემოებაში გამოთქმულია უმაღლესი სფეროების პროგრამა და გულის წადილი. სხვას რომ თავი გავანებოთ, ზომიერი ლიბერალი რუსეთის ნდობა და თანამშრომლობა თანდათან გაანელა მთავრობის სათავეში ერთგვარ მიმართულების პირთა დანიშვნის ტენდენციამ. ამ რიგად მიმდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ბედ-იღბალზე, ნორმალურს პირობებში, მთელი პროგრესიული რუსეთი ფაქტიურად გავლენას ვერ მოახდენს და თუ გარემოებამ მოიტანა, იგი ისე გადაიჭრება, როგორც ამას მოითხოვს რუსეთის გაერთიანებული თავადაზნაურობისა და უჩინარ გავლენიან მემარჯვენეთა ვიწრო, პირადი და წოდებრივი ინტერესი.

კიდევ იერიშები!..

(სოხუმის ეპარქიის განწვალების გამო)

მართალია—ამ ქვეყნად კაცს არაფერი არ უნდა გაუკვირდეს, განსაკუთრებით ისეთს დროსა და ისეთ სახელმწიფოში, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. მაგრამ ის უცნაური იერიშები, რომელიც ამ ბოლო დროს რუსეთის საეკლესიო მთავრობამ ჩვენს ეკლესიაზე მოიტანა და ახლაც მოაქვს, თვით მკვდარსაც-კი საფლავში გადაატრიალებს და გაოცების ოხვრას აღმოახდენინებს.

მართლაც—განა გასაკვირველი და გასაშტერებელი არ არის, რომ ამ ქვეყნის დაქცევის დროს, როცა თვით პურიშკევიჩმაც კი ადამიანურად ლაპარაკი ისწავლა, რუსეთის საეკლესიო პურიშკევიჩ-ვოსტორგოვები არამც თუ ძველებურს გზას არ სტოვებენ, ძველებურს ფრაზეოლოგიასაც ვერ გადაჩვეულან და უწინდულებრ განაგრძობენ მოქმედებას!

გუშინ არ იყო, რომ რუსეთის სინოდმა საქართველოს საეგზარხოსოს სრულიად კავკასიის სამიტროპოლიტოში დაუპირა გაქრობა?!.. მაგრამ ეს რომ ველარ მოახერხეს, ახლა სხვა მხრივ განუზრახავსთ მოქმედება: უნდათ საქართველოს ეკლესიის ისტორიულ-კანონიურს საზღვრებს მთელი ერთი ეპარქია (თუ მთლად არა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც) ჩამოჰგლიჯონ და სხვა ეპარქიას შეუერთონ! სხვას რას ნიშნავს თუ არ ამას გუშინწინდელი დეპეშა პეტროგრადიდან:

,,საქართველოს საეგზარხოსოდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის პროექტი უკვე დამზადებულია. პროექტით საეგზარხოსოს ფარგლებში წმინდა ქართული სამრევლოები მოექცევა. დანარჩენები შევლენ ახლად შექმნილ შავი ზღვის ეპარქიაშიო". („საქარ.'' № 69.)

და მერე რომელი კანონიერი უფლების ძალითა ჰსურთ ამ პროექტის განხორციელება? რომელ კანონიერს საფუძველს (სხვა საფუძველი კი საეკლესიო მართვა-გამგეობის სფეროში შეუწყნარებელია) ემყარებიან პროექტის ავტორნი, როცა ჩვენს ეკლესიაზე ეს ახალი იერიში მოაქვთ?—ნუთუ რუსეთის სინოდი, თუკი მას თავი საეკლესიო დაწესებულებად მიაჩნია, ვალდებული არ არის ანგარიში გაუწიოს მსოფლიო კრებათა მიერ შემუშავებულს ძირითად საეკლესიო კანონებს, რომელთა ძალითაც არც ერთ ეკლესიას არ აქვს უფლება ძალით გაჰყოს რომელიმე ეპარქია და მისი ტერიტორია სხვა ეპარქიას შეუერთოს, ტერიტორია, რომელიც თავიდანვე და უწინ ამ მეორე ეპარქიის ხელში არ ყოფილა? (შეად მე-III-ე მსოფლიო კრების მე-8 ე კანონი და მე-IV-ე მსოფლიო კრების მე-12 ე კანონი). ნუთუ სინოდის მამები დღეს მაინც ველარა ჰგრძნობენ, რომ, თუ პოლიტიკურ სფეროშიაც კი ძალმომრეობა ყოვლად საზიზღარი და გასაკიცხია (მოიგონეთ: ბელგიისა, სერბიისა და მთაშავეთის ბედი!), მით უმეტეს შეუწყნარებელი და საზარელია იგი საეკლესიო სფეროში?!.

ჩვენ გვსურს—იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ანტიკანონიურს პროექტს ერთი-ორი მოწინააღმდეგე თვით სინოდშიაც გამოუჩნდება, იმედი გვაქვს—ჩვენი ახლანდელი ეგზარხოსიც, როცა მას შემოეკითხებიან, მხარს არ დაუჭერს იმ პროექტს, მაგრამ საქმისთვის ეს სრულიად არა კმარა. საჭიროა, მთელის შეგნებულისა და მორწმუნე ქართველობის შეერთებული ხმაც მძლავრად შეუერთდეს აღნიშნულ პირთა ხმას, რომ ამ უკანასკნელს მეტი ძალა ექნეს და საქმე სიმართლისა და სამართლიანობის სასარგებლოდ დაგვირგვინდეს. საჭიროა, რაც შეიძლება მალე, ყოველი ლეგალური ზომა მიღებულ იქნას, რომ დაგვიანებით საქმე არ გაფუჭდეს: ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ—დღევანდელ ქართველებს—არავითარი უფლება არა გვაქვს ნებაყოფლობით ვისმე დავუთმოთ თუნდ ერთი ხელისდადება ადგილი იმ საეკლესიო ტერიტორიიდან, რომელიც ჩვენის წინაპრებისაგან გადმოგვეცა და დღესაც კანონიურად საქართველოს ეკლესიის საკუთრებას შეადგენს! ამას ხომ ყველა ქართველი ჰგრძნობს და სცნობს, მაგრამ საქმისთვის მარტო ეს არა კმარა: საჭიროა, ეს ჩვენი საერთო და ურყეველი რწმენა ეგზარხოსსაც მკაფიოდ და გულახდილათ ვამცნოთ და სინოდის მამებსაც დროიანად მივაწვდინოთ, რათა ჩვენი გაჩუმება მათი უსამართლო მოქმედების სანქციად არ მიიღონ და შემდეგ ჩვენვე არ გაგვამტყუნონ: რატომ დროზე ხმა არ ამოიღეთ რატომ იმ თავითვე არა სთქვით რა, თუ კი სიმართლეს თქვენს მხარეზე ჰგრძნობდითო?

ამ ჟამად ჩვენი წინადადება ასეთია: ქართველი ერის ყოველმა წოდებამ (თავად აზნაურობამ, სამღვდელოებამ, ქალაქთა თვითმართველობებმა და სხვ. და საკულტურო დაწესებულებამ თავისი გულისნადები ამ საგნის შესახებ დაუყონებლივ მკაფიოდ და მოკლედ მოახსენოს, როგორც ადგილობრივს საერო და სასულიერო მთავრობას, ისე სინოდს: განსაკუთრებით საჭიროა ხმა ამოიღონ სოხუმის ეპარქიის ადგილობრივმა მკვიდრმა აფხაზებმა და ქართველებმა, რომელნიც მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესია არსებობს, მუდამ ერთად იყვნენ და არასოდეს ეკლესიურად გათიშულნი არ ყოფილან. ამასვე მოითხოვს დღევანდელი მომენტიც.

ერისკაცი.

სოციალური უტოპიები,

(წერილი მეთერთმეტე.)

თავისუფლება და სახელმწიფოებრივობა, ბრძოლა და ერთობა.

უკიდურესობა, ცალმხრივობა ყოველთვის ყოფილა ნიშნობლივი თვისება უტოპიისა, ე. ი. შეუძლებელისა, განუხორციელებელისა.

სახელმწიფო არ უნდა იყოსო, ამბობენ ანარქისტები; სახელმწიფო—ყველაფერი უნდა იყოსო, ამბობენ სოციალისტები. მაგრამ, ცდებიან ორნივე.

ანარქისტები (პრუდონი, ბაკუნინი, კროპოტკინი, სებასტიან ფორი, ლ. ტოლსტოი და სხ.) იდეალად პიროვნების სრულ თავისუფლებას აღიარებენ. საზოგადოება—პიროვნებათა თავისუფალი, ნებაყოფლობითი კავშირი უნდა იყოსო და არა იძულებითიო, ამბობენ.

და მათ დიდი ღვაწლი მიუძღვისთ კაცობრიობის წინაშე მით, რომ გააქარწყლეს ცრუ რწმენა, ვითომ სახელმწიფოს ყველაფრის მოწესრიგება შეუძლია და ერთადერთს შემოქმედე სოციალურ ძალას წარმოადგენს. მათ დაანგრიეს, მაშასადამე, როგორც ძველი, არქაული სახელმწიფოებრივი იდეა, აგრეთვე სოციალისტური იდეალი, რომელსაც უკიდურესი სახელმწიფოებრივობის განხორციელება სწადია.

ბრძოლა ბაკუნინსა და კარლ მარქსსა, კარლ მარქსსა და პრუდონს შორის ამ ნიადაგზე წარმოობდა.

როგორც ყოველთვის, პირველი შეჯახება მეტად მწვავე იყო და მოპირდაპირენი ერთმანეთს არა ზოგავდენ და შეუფერებელი სიტყვებით ახსენებდენ

მაგრამ დროის განმავლობამ თვითეული მხრის აუარებელი ბრალდება ჩაილურის წყალს გააყოლა და დროის განმაქარწყლებელ გავლენას მხოლოდ თვით, ჭეშმარიტებასთან უფრო მახლობელი და უფრო საჯერო საბუთი გადურჩა:

სოციალისტები უკიჟინებენ ანარქისტებს კარლ მარქსის მახვილი სიტყვით, თქვენი ანარქიზმი—წვრილი ბურჟუაზიის იდეალს წარმოადგენსო. თავისი მხრით ანარქისტები უპასუხებენ მათ: თქვენი სოციალიზმი--პრუსიულ-მილიტარისტულ ყაზარმისებურიაო.

ჩვენი ფიქრით კი, როგორცა ვთქვით, ორივე მხარე შემცდარია.

პიროვნების თავისუფლებას მარტო წვრილი ბურჟუაზია კი არა, არამედ რამდენადმე მაინც ყოველგვარი სოციალური ორგანიზაცია აღიარებს. ეს—კაცობრიობის თანაშობილი თვსებაა

ადამიანი სხვათა შორის მით განირჩევა პირუტყვისაგან, რომ მეტყველია, შეუძლია გაუზიაროს თავისი გულისპასუხი თავის მოძმეთ და შეჰქმნას ამგვარად ისეთი სოციალური ძალა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს პიროვნების თავისუფლებას. მაშასადამე, ეს მიდრეკილება ერთერთი სოციალური შემოქმედე ძალაა, რომელიც ყველა ისტორიულ ხანასა და თვითეულ სოციალურ კლასს ახასიათებს.

და მართალს ამბობს სებასტიან ფორი: კაცის უბედურება უმთავრესად უუფლებობისა და ბატონობისაგან წარმოსდგება და არა ეკონომიური შევიწროებისაგანო. დიახ! სრული ჭეშმარიტებაა, რომ გაცვეთილი ქალამნით ფეხმოსილი და სიმინდის მჭადით კვებული თავისუფალი მიწისმუშა უფრო ბედნიერია, ვიდრე დიდ-ჯამაგირიანი და მდიდარი, მაგრამ თავისი უფროსის ყურმოჭრილი მონამორჩილი მოხელე.

მეორე მხრით ისიც მართალია, რომ სრული, უპირობო, გარეშემოუწერელი თავისუფლება არსად არის, და პიროვნებათა ურთიერთობა და დამოკიდებულება საზღვარს უდებს თვითეულის თავისუფლებას.

კროპოტკინის ეგოისტურ-მდებული ანარქისტული კომუნიზმი შინაგან წინააღმდეგობას გარემოიცავს. მართალია, როგორ შეიძლება პიროვნებამ უსაზღვრო, გარეშემოუწერელი თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაიცვას კომუნაში, რომელიც მრავალი პიროვნებისაგან შედგება და რომლის წევრებსაც მრავალი ეკონომიური, ზნეობრივი და კონებრივი ინტერესი აქვსთ საზიარო?

ამგვარად პიროვნება რამდენადმე ყოველთვის ემორჩილება სახელმწიფოს, სულ ერთია კომუნის ხელში იქნება თუ დიდი საზოგადოების ხელში სახელმწიფოებრივი ძალა და უფლება, და მაშასადამე პიროვნების სრული განთავისუფლება სახელმწიფოსაგან, ან, რაც იგივეა, სახელმწიფოს სრული გაუქმება—შეუძლებელია, უტოპიაა.

მეორე მხრით სახელმწიფოს მნიშვნელობის გაზვიადებაც შეუწყნარებელი შეცდომაა.

სპენსერის აზრით სახელმწიფოს ძალა ერება განსაკუთრებით სამხედრო მდგომარეობაში არის საჭირო. მართალიც, მაშინ, როდესაც მთელი ერი ერთ ორგანიზმად უნდა შეიკრიბოს, სამხედრო დისციპლინის აუცილებლობა და მაშასადამე სახელმწიფოს მიერ პიროვნების ჩაყლაპვა—უეჭველია.

მაგრამ სპენსერისავე აზრით თანახმად სამრეწველო მდგომარეობაში სამხედრო დისციპლინა უკვე ჰკარგავს გარეშემოუწერელ მნიშვნელობასა და პიროვნება თავისუფლებას პოულობს. და აქედან იბადება პიროვნების ინიციატივა და თაოსნობა, რომელიც შობს თავისი მხრით კაცობრიობის გონებრივ წინსვლას.

მაშასადამე სახელმწიფოებრივი ძალი იმდენად განსაზღვრული და გარეშემოწერილი უნდა იყოს, რომ პიროვნებას, რაც შეიძლება, მეტი ინიციატივა და თავისუფლება შერჩეს.

აქედან გამომდინარეობს თანამედროვე დემოკრატიულ-პოლიტიკური და ეკონომიური იდეალი, რომელსაც ყველა ქვეყნის ერთგული დემოკრატია აღიარებს.

მეორე მხრით პოლიტიკურ დასთა ბრძოლაც პიროვნების გარეშემო ტრიალებს. დასი—პიროვნებათა კრებულია და მიტომ იბრძვის, რომ თვითეული პიროვნება ცდილობს მოიპოვოს უპირატესობა ან თავისუფლება. მაშასადამე პიროვნება—ის სოციალური ფუძეა, რომელიც [illegible] ისტორიის.

პარტიათა ბრძოლა არის ბრძოლა უფლებისათვის. ვინც იცავს უპირატესობას, იცავს მაშასადამე ძველ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას.

ბრძოლა უპირატესობისა [illegible] წინააღმდეგ არის ბრძოლა ძველი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ახლისთვის.

მეორე მხრით მხოლოდ ამით პოლიტიკური მოძრაობა იმარჯვებს, რომელსაც ერის უმეტესობა აწარმოებს ერთი რომელიმე [illegible] პარტიის წინააღმდეგ, ან, უკეთ რომ ვთქვათ, [illegible] ერთგული ხასიათი აქვს და არა ნაწილობრივი, პარტიული.

და, როდესაც საერთო მოძრაობა შეიცვლება რამდენსამე ნაკადულად და თუ

რუსული პრესა.

ამ დღეებში უნდა [illegible] კოვში სრულიათ [illegible] რობის ყრილობა, მაგრამ ეს როგორც მოსკოვის პოლიციას არ მოეწონა და ყრილობა აკრძალა. გაზეთი „დენი" [illegible] ნიშნავს ამ მოვლენას, თავის მხრით დასძენს:

,,დღეს, როცა რუსეთის წინაშე მთელი თავისი სიმწვავით წარმოსდგა კითხვები [illegible] შემცირებისა, [illegible] ფქვილის მოზადების კრიზისი", სათბობი მასალის ნაკლებობისა და სხვა, [illegible] არის ერთ—ერთი თვალსაჩინო მიზეზთა მუშა ხელის სიმცირე უნდა ჩაითვალოს. სახალხო მეურნეობა ძლივს—ძლივობით იტანს მუშა ხელის ბაზრის მოუწესრიგებლობას, მაშინ როდესაც სათადარიგო მუშათა რაზმები რუსეთის სიღრმეში [illegible] უწესრიგოდ გაფანტული არიან, რომლებიც სხვა პირობებში გასაჭირიდან [illegible] რუსეთის წარმოებას ამის [illegible] ატანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ [illegible] მუშა ხელის ბაზრის მოუწესრიგებლობა ერთი ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეიძლება. ძველებური „იქნება" ქვეყანას [illegible] მიერ განადგურებამდე მიიყვანს; თუ [illegible] აშკარაა, რომ [illegible] რჩება, წისქვილები შედგება, ქარხანა-ფაბრიკები აღარ მოძრაობენ, განა [illegible] საყოველთაო, რომ შრომის ორგანიზაცია დღევანდელი მომენტის უსაჭიროესი [illegible] ხოვლილებაა?"

გაზეთის ცნობით მთელ რუსეთში შრომის ბირჟები დაარსდა და ყველგან [illegible] ლობენ, რომ ბაზარი მოწესრიგებულ [illegible] ნას. ამისთვის კი გაზეთის აზრით [illegible] რომ შეკავშირდეს, გაერთიანდეს მრავალრიცხოვანი ბიუროები ერთ [illegible] რომ მათი მუშაობა უფრო [illegible] ფერი იქნებს. მაგრამ ეს ხომ დიდათ [illegible] თხოვს მოსკოვის ბოჭკულ. სტრ [illegible] ვინ იცის შრომის წარმომადგენელთა [illegible] ლობა რას იტყვის: ,,იქნება" საზოგად [illegible] რამე წარმოსთქვას და ეს ბ. ბოჭკულ [illegible] ხომ ძალს დაუფრთხობს? აკი [illegible] ეს ყრილობა მთავრობამ აკრძალა, [illegible] ძალა სწორეთ თავყრილობის წინა [illegible]

რა გაეწყობა! შენიშნავს გულმოკლულ [illegible] ულათ გაზეთი, ალბათ სტრ [illegible] დობისთვის ასეთ მსხვერპლს მოითხოვს [illegible] ოლინდაც, რომ მოითხოვს!

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

თეთრ ბილეთიანების შესახებ. [illegible] ურობის განკარგულებით, ის თეთრ [illegible] ლეთიანები, რომლებიც გაწვეული [illegible]

თეული ნაკადული სხვას შეეხება, [illegible] სიტყვით, როდესაც საერთო მოძრაო [illegible] წილ ჩნდება მრავალი სხვადასხვა მო [illegible] ობა და დასდასხვა, მოძრაობის ერთ [illegible] ფრჩხება და შეიძლება ან პირიქით უკან დახე [illegible] აუცილებელია. ამის მაგალითი სხვა [illegible] შორის საფრანგეთის დიდი რევოლუცი [illegible] წარმოადგენს.

რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ნაწ [illegible] ვერ იქმს მთლობას, ვიწრო პარტ [illegible] კალაპოტში ვერ დაეტევა მთელი [illegible] ნული მიმდინარეობა, ერთი რომელი [illegible] დასი ვერ გარეშეიცავს ყველა დასს [illegible] ერთი მიმართულება ვერ გააბატონ [illegible] ერთი სოციალური მიდრეკილების [illegible]

ძალოთა გადამეტებული დანაწილება [illegible] მიტომ არის კიდევ მავნებელი, რომ [illegible] ლით გათიშული დასები წვრილ [illegible] არა ხედავენ, რომ მათ შორის საერ [illegible] საერთო მეტია, ვიდრე განმასხვავებ [illegible] და განკერძოებული.

მაშასადამე საზოგადოდ მთელი [illegible] ნულ მიმდინარეობისა და კერძოდ [illegible] ლის ხშირად უქარავს ხელს და [illegible] ხებს ერთობის აუცილებლობის შეგნ [illegible] ბლობა.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ კლასთა ბრძოლის შესახებაც. ტყუილია, ვითომ კლ [illegible] თა შორის არა არის—რა საზიარო [illegible] ერთობა. ამას ნათლად ამტკიცებს დღე [illegible] დესაც საერთო სამხედრო განსაცდე [illegible] თვითეული ერის ყველა კლასი შეკავ [illegible] ერთ ორგანიზმად შეადუღა.

ბურჟუა და პროლეტარი ერთად [illegible] რად იბრძვიან სამშობლოს ... [illegible] მაშასადამე კლასთა ყოველი, [illegible] უტო შეურიგებლობის იდეა უკვე [illegible] ძარცვებულად უნდა ჩაითვალოს.

მართალია, განა შესაძლებელია [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარსული წლის ოქტომბერში და არ ადებულან 15 მარტამდი 1916 წ ნ პასუხის გებაში სისხლის სამართ ალით. ის პირები კი, რომელიც ო საკრებულომ უვარგისად იცნო, ცეს საგუბერნიო საკრებულოს გადა ვეთ.

ქუთაისის კოოპერაციის საზოგა ის გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ სააღდგომოთ საკუთარ ფურნეში მი გამოსაცხობათ პასკებს

კავკასიის რკინის გზის სამმართვე დღესასწაულების გამო, განკარგუ მოახდინა მოემატოს სამგზავრო მა ტლების ვაგონები.

ქუთაისის გუბერნატორმა ნება და ს ქ შ. წ. კ. გ. საზ. ზუგდიდის გა ფილებას გახსნას ს. ყულისკარში მაზ.) ააგოს ვაჟა ფშაველას სახე ზე უფასო წიგნ საცავ სამკითხველო სოფლის მცხოვრების, ყარამან ან ძეს პასუხის მგებლობით.

ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს ადგინა დასამტკიცებლად ახალი ნიხ სნოვაგზე.

გუშინ, სააღდგომოთ დაითხოვეს ის ყველა დაბალი და საშუალო ლებლების მოწაფეები.

ჟურნალი „სკოლა და ოჯახი"-ს ზე დაიწყება ორშაბათს, 4 აპრილსა ან რედაქციის ტეხნიკური მხრით ხე შეშლა (მასალების გვიან მიღება, ის მიუცლელობა და სხვა), ამიტომ გებისამებრ დღეს, სამ აპრილს, პირ ნომრის გამოცემა აღარ მოესწრო.

ხვალ ქალაქის გამგეობაში დანიშ ლია საბჭოს სხდომა; საკითხთა შო უნდა იმსჯელონ როგორც ქალაქის ვობის მოსამსახურე პირთა, ისე მას ებლებისათვის ჯამაგირის მომატების ხებ.

შლია, ქალაქის გამგეობა ახლა მაინც ევან ყურადღებას მიაქცევს მოსამსა ურეთათვის ფრიად საყურადღებო საკითხს სასურველად გადასწყვეტს საკათხზე.

გუშინ წინ, ღამის პირველ საათზე ანაგო აბანოში შეიპყრეს სამი საე პირი.

ხუთშაბათს, 31 მარტს, ს ზეინდა (ქუთ. მაზ.) ყაჩაღები დაეცენ ადგი რივ მცხოვრებს არჩ. მდინარაძეს, წლ.) დასჯრეს და წაართვეს 148 მან ით შეიპყრეს ძმანი ერისთავები.

დ ზესტაფონში 1 აპრილიდან და მართველობას შემოიღებენ, მამასა ხლისი აღარ იქნება. აქაურ მასწავლებლებს შაბათს, 31 მარტს, კრება ჰქონდათ ეც გადაწყდა 30 აპრილისათვის გადა ნ შორის დილა რომლის მოსაწყო არჩეულ იქნა 8 მასწავლებლებისაგან გარი კომისია.

◆ ომში გაწვეულ ჯარის კაცთა ოჯახების დამხმარე საგუბერნიო კომიტეტმა 72 მან. და ათი შაური გადადვა კორძაიას 4 კლასიან ქალთა სასწავლებლის 4 მოწაფის სასარგებლოთ, რომელთა მამებიც ომში არიან გაწვეული.

◆ ორშაბათს, 4 აპრილს, ქუთაისის გუბერნატორის, გრაფ გუდოვიჩის, თავჯდომარეობით შესდგება საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულოს წევრთა სხდომა, რომელზედაც გასარჩევია შემდეგი საკითხები: ა) საჩივარი ქალაქის გამგეობის წევრათ ნამყოფის ს. ა. ქვარიანისა სენატის სახელზე, რომელიც შეეხება ამავე საკრებულოს უკანონო მოქმედებას. ბ) სოხუმის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა, რომ მათ მიეცეს სათადარიგო თანხიდან 42,776 მან. 91 კაპ. ქუჩების მოკირწყლისათვის.

◆ ბექთაბეგოვისა და ჩაიკოვსკის მეთაურობით რუსულმა ოპერამ პარასკევს 1 აპრილს დაასრულა ოპერების გამართვა.

◆ ადგილობრივ მოვაჭრეს ხეცურიანს, 20 ფუთი ტყავი აღმოუჩინეს, რომელიც მას ტყავეულობის რეკვიზიციის დროს დაუმალავს ტყავი სახაზინოთ ჩაირიცხა.

◆ ორშაბათს, 4 აპრილს, დანიშნულია სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში მყოფ მოხელეთა მომხმარებელი საზოგადოების წევრთა კრება, რომელზედაც ასარჩევია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

სოფლად.

— ტყიბულის მახლობლათ რაჭის საზღვარზე ავაზაკებმა გაცარცვეს რაჭის მაზრის მცხ. მექია კობახიძე, ნესტორ კენვარიძე, ნიკოლოზ და ივანე ჯებაშვილიო. პირველს წაართვეს 110 მან. დანარჩენს წვრილი ფული.

— ქ. ფოთში ვლადიმერ ჯაფარიძეს სახლიდან მოიპარეს 200 მან. ღირებული ოჯახის ავეჯეულება.

— გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება შემდეგმა სოფლებში:

ს. კააკუდამ (ქუთ. მაზრა) „ჩვენი ოჯახი", ს. დიდინეთმა (ზუგ. მაზ.) „იმედი", ს. გორდმა (სენ. მაზრა) ,,გორდის მომხმარებელი საზოგადოება'' და ს. ზომლეთმა (ოზ. მაზ.) ,,სიფხიზლე''.

სალამი გურიას!

დღეს, დილის 12 საათზე ოზურგეთში უნდა მოხდეს გურიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დამაარსებელთა საჯარო კრება.

რომელ ქართველს არ მოაგონებს ეს კუთხე ჩვენის ტურფა საქართველოისა იმ ნეტარ დროს, როცა გაღვიძებული სამშობლო ჩვენი მთელ რუსეთთან ერთად აგუგუნებდა სიმღერას ერთობისას, თავისუფლებისას!

ვინ უძღოდა წინ ამ დროს საქართველოს?

— გურია! გურულები!

რომელ კუთხეს ჩვენის ქვეყნისას ჰყავს ყველაზე მკვირცხლი გამბედავი, შეუპოვარი და ენა-მახვილი შვილები?

გურიას.

ვინ არიან ჩვენში პირველ მთქმელნი, მალხაზნი, ვით მერცხალნი და მომღერალნი, ვით ბულბულნი?

გურულები!

სად გამოდის ყველაზე მოხდენილნი ქალვაჟი?

— გურიაში.

რომელი მხარეა ჩვენის ქვეყნისა აბრეშუმის ბაღდადივით მოქარგული?

— გურია!

იმედია ამ ქებათა-ქებას პროვინციალურ პატრიოტიზმათ არ ჩამომართმევთ ვინაიდგან,

მართალია მამით გურული ვარ, მაგრამ დედა ქართლელი მყავს..

პირველად კი თვალი ავახილე ოსეთში, ჯავის ხეობაზე.

დღესაც ყურში მიდგია გიჟი ლიახვის ხვივილი, დღესაც თვალწინ მეხატების მისი აქაფებული ჩანჩქერები, მინდა ამ ცოცხალი მდინარესავით—ვიქცე ყვირილად და... ერთის ჩვენის მწერლის სიტყვისა არ იყოს,—გადავრეცხო „რაც ქვეყანაზე ბოროტებაა დამყარებული! ..

დიადი იყო განცდა ჩემის ყმაწვილობისა ტურფა ლიახვის ხეობაზე, მაგრამ დაუვიწყარი იქნება ჩემთვის მთელ ჩემს სიცოცხლეში განცდა ჩემი სიჭაბუკისა გურიის პირველ ნახვისაგან გამოწვეული, ამ ოცდა ორის წლის წინად!

1894 წელს გარდაიცვალა ერთი სიამაყეთაგანი გურიისა—ეგნატე ნინოშვილი. მე დავესწარ მის დასაფლავებას და პირველად მაშინ მოვიარე მთელი გურია...

მაისი იყო.., მშვენიერი მაისი! მთელი გურიის ბუნება მღეროდა, ბიბინებდა! მთელი გურია, როგორც უცხო რამ ძვირფასი, ჯადოქრული ნატვრის თვალი ბრჭყვინავდა ათასფერად და მარტო სასიცოცხლოდ კი არა, საოცნებოდ იტაცებდა ადამიანს, გეგონებოდათ ღმერთს ეს კუთხე შეუქმნია კვარცხლბეკად სიყვარულისა, ძმობისა და ერთობისათ

მახსოვს, ერთ მთვარიან ღამეს ვიდექ ერთის ეკლესიის გალავანში, ცაცხვების ქვეშ და გავყურებდი სუფსის ჭალებს.

ისეთი დიადი, ისეთი თვალწარმტაცი იყო ის მიდამო, რომ კინაღამ სიამოვნებისაგან ქვითინი არ დავიწყე და არ დაგიმალავთ.

მე, ცხოვრების სივერაგისაგან ურწმუნო ადამიანმა ღმერთს მადლი შევსწირე და რაღაც გამოუთქმელი სიამაყე ვიგრძენ, რომ ერთის წიბოთი ვეკუთვნოდი ამ მშვენიერ მხარეს!

თვალთაგან ნეტარების ცრემლები გადმომცვივნდა და ერთხელ კიდევ შევფიცე ჩემს ქვეყანას, ჩემს სამშობლოს ერთგულება და მისთვის თავის დადება!..

იმ დღიდან აქამომდე ნატვრა ჩემი იყო და არის წარმატება ჩვენის ქვეყნისა, აყვავება მისი ყოველის კუთხისა, გაბედნიერება და გაძლიერება მის მკვიდრთა, დამყარება ჩვენ შორის ძმობა—ერთობისა და თავისუფალ ადამიანურ ცხოვრებისა.

ვაჰ მე, რომ ძალა არ შესწევს ჩემს ქადილს, თორემ ნაწილ ნაწილად დავიჭრებოდი, ჰაერად ვიქცეოდი რომ არც ერთი კუთხე ჩვენის სამშობლოისა არ დამრჩენოდა უმზეროდ!

ყველგან, ყოველ მთა ხევში, ყოველ კუნჭულში, ყოველ ბაღ ვენახში, ყოველ სასახლესა, თუ ქოხში შევიხედავდი და ცრემლ-მორეულის ხმით შევეხვეწებოდი შევევედრებოდი დიდსა, თუ პატარას:

შეიყვარეთ თქვენი ქვეყანა ეს ბოღაზი სიმდიდრისა, ეს სახება მშვენიერებისა, ეს წიაღი ნეტარებისა!....

შეერთდით, შეკავშირდით, ხელი ხელს გადააბით, მხარი მხარს მიეცით, ისწავლეთ, იმუშავეთ. გადუხსენით რძითა და სიტკბოებით სავსე მკერდი თქვენ დედამშობელს, დაეწაფეთ მის მადლით სავსე სიუხვეს, გამოიკვებეთ თქვენც, გამოჰკვებეთ თქვენიანებიც, გამოჰკვებეთ მთელი ქვეყანაც, მთელი დუნიაც. ძირს მცონარობა! გაუმარჯოს შრომა გარჯას, შრომას ნაყოფიერს, შრომას საერთოს, საძმოს სასარგებლოს, გამომაფხიზლებელს.

ძირს შური და მტრობა! გაუმარჯოს საერო და საქვეყნო საქმეს!

ასევე მინდა შევძახო გურიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დამაარსებელთ. მაგრამ ვაი თუ ამ ჩემმა ხმამ ვერ მიუწიოს მათ!

ვიდრე საბეჭდავი მანქანა"გუგუნ—გრიალით გაზეთში ჩაბეჭდდეს ამ სიტყვებს და გაზეთი იგი მიაღწევდეს მშვენიერ გურიის დედა ქალაქს, იქნებ კრება მათი კიდეც დასრულდეს.

მაინც, სალამი გურიას, სალამი გურულებს ასეთი ძვირფასი საზოგადოების დაარსების განზრახვისათვის!...

ია ეკალაძე—ცინცაძე.

2 აპრილი, ქ. ქუთაისი.

დღეს

როგორც ამას წინადაც აღვნიშნეთ, დღეს, 3 აპრილს, ქ ოზურგეთში მოხდება გურიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დამაარსებელთა წინასწარი თათბირი.

ჩვენი სასოფლო მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა ასეთ ხას[illegible] ბირს დიდათ საჭიროებს და [illegible] ლი ხმა და მაგალითი, რომელსაც საქართველოს სხვა კუთხეებმაც უნდა წაჰბაძონ, მოგვცა გურიამ.

ჩვენი ცხოვრების გამოსაბრუნებლად ისევ ჩვენი ხალხი უნდა ამოქმედდეს, რადგან სხვისი იმედით ჩვენ არაფერს უნდა მოველოდეთ.

ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით ოზურგეთში გამართულს დღევანდელ სამეურნეო თათბირს და ვუსურვებთ მას ღრმად დაკვირვებას საკითხის გამოსარკვევათ და პრაქტიკულ ნაბიჯის გადადგმაში ნაყოფიერ მუშაობას.

ი. დ—ი.

სომეხთა შორის.

სომეხ გადმოსახლებულთა უკანვე გაბრუნება.

სომხების სასოფლო მეურნეობის საზოგადოების რწმუნებული ამბარცუმიანი ქ. ვანიდან დეპეშით იუწყება, რომ აქ უკანვე დაბრუნებულ გადახვეწილთ არც მუშა საქონელი და არც სათესლე აღარ გააჩნიათ; ასეთი რამ აქ მთელ ოლქში საყიდლათაც არ იშოვება, რის გამოც გლეხები მეტად ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან.

ვიდვინოთ, რომ სამხედრო განსაცდე ს დროს მოპირდაპირე კლასები ერ ე უმიზნოდ, უაზროდ იბრძვიან?! რა ვირველია, არა: თუ ერთად იბრძვიან. ველია, მიტომ, რომ აქვსთ რამე სა რო, საერთო, საერო, რომლის დაც თვითეული კლასისთვის სავალდებულო საჭიროა. ეს საზიაროა: ჩამომავ ობა და ტერიტორია, ენა, ლიტერა ურა და ზნეჩვეულებანი, საერთო ის რიულ—კულტურული მემკვიდრეობა, საკუთრებული ეროვნული ხასიათი დ გან ვებული შემოქმედება.

არ უარვყოფთ, რომ კლასთა ბრძოლა ველთვის ყოფილა და იქნება და, რომ ყოფილიყო, არ იქნებოდა არც კულ ურისა და განათლების წინსვლა. მაგრამ ვე დროს იმის შეუგნებლობა, რომ ვლასხვა კლასს შორის საზიარო, სა ო, ეროვნულიც არის, განსაცდელში ღუპავს ხოლმე ერს. და ეს შეგნება მე ტესად იმ ერისთვის არის საჭირო, რო ელსაც დამოუკიდებლობა დაუკარგავს ან მე განსაცდელი კარს ადგია.

და სწორედ ამ საანბანო ჭეშმარიტების შეუგნებლობამ დაასნეულა ქართველი რი.

ეროვნული მოძრაობა წამბაძველობითი ო, ე. ი. არ იყო აღმოცენებული ჩვენს ეროვნულ სოციალურ ნიადაგზე.

ჩვენმა მებრძოლმა დასებმა მიუსიეს სხვა შორის გლეხები მემამულეებს და უკა ქონელებმა მამულები ბანკებში დააგირა ბანკებისაგან კი უცხოელებმა შეი ეს. ამ გვარად ქართველ გლეხს მამა ნაცვლილი მიწაწყალი ხელიდან გამოეცა მეორე მხრით მექარხნეებმა აღარ ჰყვეს თავის ქარხნებში ქართველი „შე ნებული" მუშები, რის გამოც უკანასკნელათაც დაჰკარგეს სამუშაო ბაზარი მეძარხნეებს კი, ცხადია, რადგან „შეგნებული" ქართველების მაგიერად ნაკლებფასიან უცხოელ მუშებს ქირაობენ, არა წაუგიათ რა!

განვიმეორებ, კლასთა უკიდურესი ბრძოლის ქადაგებამ ქართველობა ქონებრივად გაალატაკა და ეროვნულად დააქვეითა!

რამდენად უკეთესი იქნებოდა, რომ გლეხებისათვის კრედიტის საშუალებით მამულების შეძენა გაეადვილებიათ და საზოგადოდ ქართველი მშრომელი ხალხისათვის საკრედიტო, სამეურნეო და სახელოსნო ამხანაგობათა დაარსებით ხელი გაემართათ?!

ამასთანავე ჩვენი აზრით არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ უნდა შებოჭოს მუშათა კოალიციათა თავისუფლება, რადგან თვითეული ხსენებული პარტია თავის გავლენას უმთავრესად თავისი ვიწრო პარტიული მიზნისთვის ხმარობს, მაშინ როდესაც მუშათა პროფესიური კავშირნი და კაპიტალისტები თვითონვე პოლიტიკური პარტიის უსაშუალოდ, უკეთ ასწორებენ ერთმანეთთან ანგარიშს. ასეა ევროპაში და მაშასადამე ასე უნდა იყოს და იქნება კიდევაც ჩვენშიაც

ამიტომ ნურავინ იფიქრებს, ვითომ ჩვენ მშრომელი ხალხის მოპირდაპირეებად გამოვდივართ, როგორც ამას ჩვენი ცილისმწამებელნი ურცხვად ჰყვირიან. პირიქით ჩვენი უმთავრესი მიზანი—მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაა. მათთვის ვფიქრობთ და ვშრომობთ და მათი ეკონომიური დაწინაურების მიზეზებს ვეძიებთ. და, თუ იმავე დროს ეროვნულ ბურჟუაზიას ვიცავთ,—მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მთელი ერისათვის საჭირო და აუცილებელია. მაშასადამე ჩვენი პროგრამა მთელი ერის საერთო ინტერესებს შეიკრავს და გარეშეიცავს.

დაგვრჩა განსახილველად კიდევ საკითხი კერძო საკუთრებისა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს კლასთა ბრძოლასთან.

ამ საკითხში ორი მიმართულება იბრძვის, კომუნისტური და ინდივიდუალური, და თვითეულს მათგანს ყოველთვის ჰყოლია მომხრეები.

მაგალითად 1768—1776 წ. მაბლიმ გამოაქვეყნა თავისი უმთავრესი ნაწარმოებნი, რომელნიც ლიკურგისა და პლატონის კომუნისტურ იდეათ—სანატრელ იდეალად აღიარებენ. 1755 წელს მორელი ამბობს თავის ბუნების კოდექსში": სადაც კერძო საკუთრება არ იქნება, იქ არც მისი განმადგურებელი შედეგი იქნებაო 1780 წ. ბრისსო ამბობდა: კერძო საკუთრება პირველი დამპყრობელის უფლებისაგან, ე. ი. უზურპაციისაგან, წარმოსდგება და მაშასადამე ქურდობა არისო, და ველური კაცი, რომელიც ამ დაწესებულებას არა სცნობს, იდეალად დასახა. განათლებული საზოგადოების უმეტესობის თვითეული წევრი, შიმშილის საშინელებით შეწუხებული, მათხოვრად გამხდარა და მოწყალებას თხოულობს, მაშინ როდესაც მას კერძო საკუთრებაზე ისეთივე უფლება აქვს როგორიც თვით შემწყალებელსო". („ფილოსოფიური ძიებანი კერძო საკუთრების უფლებისა და ქურდობისა").

ამასვე ამბობდა „Ande" 1790 წელს.

მეთვრამეტე საუკუნის უდიდესი ბოლიტიკური მოაზრე ჟანჟაკ რუსსო სწყევლიდა მდიდრებს და უპირველესად მას, ვინც პირველად შემოიღო მიწა და სთქვა, ეს ჩემიაო.

დიდი რევოლიუციის დროსაც ჰქადაგებდენ კერძო საკუთრების გაუქმებას მიწაზე.

მაგრამ ამაზე შემდეგ. მეცხრამეტე საუკუნის კომუნისტური მოძრაობის შესახებ კი უკვე მქონდა ლაპარაკი წინანდელ წერილებში და იქ ნათქვამს აქ აღარ განვიმეორებ.

ვიტყვი მხოლოდ, რომ ბრძოლა ამ ორ პრინციპს შორის გუშინ კი არ დაწყებულა, არამედ მრავალი საუკუნის განმავლობაში წარმოობდა და ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა საბოლოოდ.

მაშასადამე არ არის უპირობო, გარეშე მოუწერელი კერძო საკუთრება და საზოგადოებას ყოველთვის ჰქონია და ექნება უფლება შეზღუდოს თვითეული მესაკუთრის უფლება იმდენად, რამდენადაც ეს საერთო, საზიარო საქმისთვის საჭირო და აუცილებელია. მაგალითად საქონლის ტაქსაცია, ან მაზანდა, გადასახადები შემოსავლის კვალობაზე, დახმარება, რომელიც სახელმწიფომ უნდა აღმოუჩინოს შეუძლებელთ, სახელმწიფოებრივი ღონისძიება, მიმართული დიდი მამულების გასანაწილებლად წვრილ მესაკუთრეთა შორის და სხ. კერძო საკუთრების შეზღუდვაა და მაშასადამე კომუნისტურის, კოლექტივურის, საზოგადოებრივი პრინციპის ნაწილობრივი აღსარება.

იმავე დროს კერძო პიროვნებამ თავისი თავისუფლება და კერძო ინიციატივა ვერ დასთმო და სასოგადოებაში ვერ გაითქვიფა. თვითმოქმედებას, შემოქმედებითს მუშაობას, კი მაშინ უფრო ფართო სარბიელი აქვს, როდესაც თვითეული მესაკუთრე განსაზღვრული მოვალეობის გარეშე თავისი საკუთრების სრული ბატონი და პატრონია.

ისტორია ამ ორი პრინციპის წონასწორობის გარშემო ტრიალობს და, როდესაც ეს წონასწორობა დარღვეულია, საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობაც რყეული, არა ნორმალურია.

ძველი სახელმწიფოებრივი კომუნა (მაგალითად ძველ პერუში, სპარტაში და სხ). საშუალო საუკუნეთა შემავიწროებელი ამქრები და კორპორაციები—ჰკლავდენ კერძო ინიციატივასა და თვითმოქმედებასა და წინ ეღობებოდენ მაშასადამე კაცობრიობის წინსვლას. მეორე მხრით აღვირახსნილი სავაჭრო ცილობა, საზოგადო ორგანიზაციათა სრული არჩარევა მწარმოებელთა ეკონომიურ ურთიერთობაში და ბრძოლის საზღვარდაუდებლობა და მოუწესრიგებლობა—შობს უმრავლესობის გაღატაკებასა და გასაწყლებასა და მაშასადამე ხელს უწყობს საზოგადოების გადაგვარებას.

ამიტომ საზოგადო ორგანიზაციათა მოვალეობაა ხელი შეუშალოს ორსავე უკიდურესობასა და ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს ეკონომიური მიმდინარეობა, ე. ი. ხელი შეუწყოს საზოგადოებრივის ან კოლექტივურისა და ინდივიდუალურის ან კერძო პრინციპის წონასწორობის არ დარღვევას.

და, რომ ისტორია ორი ხსენებული პრინციპის ერთმანეთთან ბრძოლას წარმოადგენს და იმის გასაგებად, რამდენად მავნებელია, როდესაც მათ შორის წონასწორობა დარღვეულია, საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო საფრანგეთის საზოგადოებრივი ისტორიის მოკლე მიმოხილვა დიდი რევოლიუციიდან უკანასკნელ დრომდის, რადგან იგი ყველა სხვა ისტორიაზე უფრო მდიდარია დიდმნიშვნელოვანი ფაქტებით.

გასილ წერეთელი.

რუსეთი.

სახელ. სათათბიროს არდადეგები.

სახელ. სათათბირომ მსჯელობა იქონია სათათბიროს დელეგაციის ევროპაში მოგზაურობის შესახებ და დაადგინა, რომ დელეგაცია, რომელშიაც ყველა ფრაქციების წარმომადგენლები შედიან გარდა უკიდურესი მემარცხენეებისა, სათათბიროს თავჯდომარის, პროტოპოპოვის წინამძღოლობით გაემგზავრება პეტროგრადიდან 14 აპრილს და სტოკჰოლმში სამ დღეს შეჩერდება; მერე ინგლისში 10 დღეს დაჰყოფს; 10 დღეს კიდევ საფრანგეთში გაატარებს და 5 დღეს იტალიაში. ამ ნაირად დელეგაცია თითქმის ერთ თვეს იმოგზაურებს. ამასთანავე სახელ. სათათბიროს ახლა სააღდგომო არდადეგები უდგება, მაშასადამე მისი სხდომებიც შეწყვეტილი იქნება. შემდეგ აპრილის ბოლო რიცხვებში გაიხსნება ხელახლა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ზაფხულის არდადეგები იწყება; ამნაირად სათათბირო დღეიდან მხოლოდ თვე ან თვე ნახევარი იმუშავებს. რა უნდა გააკეთოს ამ თვე ნახევარში სათათბირომ, ამაზე ერობის ოქტომბრისტების ფრაქცია შემდეგი აზრისაა: ხსენებულმა ფრაქციამ აღიარა, რომ სათათბიროს სესია ნააღდგომევს მხოლოდ ერთ თვეს გაგრძელდება, რადგან მემამულეებს, მღვდლებს და გლეხებს ზაფხულის დასაწყისში ბევრი სამუშაო აქვთ სოფლად. სათათბიროსთვის ერთი თვე მოკლე დროა, მაგრამ სამაგიეროთ იგი ამ დროს უფრო ექსენსიურათ მოიხმარს: სხდომების ტემპს გააძლიერებს და ამ ნაირად ყველა საჩქარო კანონპროექტებს განიხილავს და დაამტკიცებს.

უცხოეთი.

ჩინეთის რევოლიუცია

გაზეთების გადმოცემით ჩინეთის რევოლუციონერებმა გადასწყვიტეს ქ შანხაიში დიპლომატიური ბიურო დააარსონ; ამ ბიუროს დანიშნულება იქნება უცხოეთის სახელმწიფოებთან მოლაპარაკება გამართოს, რომ მათ სამხრეთ ჩინეთის დამოუკიდებლობა აღიარონ. გამოდის, რომ რევოლუციონერებმა სამხრეთ-ჩინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადეს; მაგრამ პეტროგრადში მოსული უკანასკნელი ცნობები საქმეს სხვანაირათ გვისურათებენ.

სამხრეთ ჩინეთი ორი პროვინციისგან შესდგება: გუანდუნი და კანტონი. იმ გარემოებამ, რომ რევოლუციონერებს მხარი დაუჭირეს ამ პროვინციების ვაჭრებმა და გავლენიანმა კლასებმა, რევოლუციონურ მოძრაობას ამ მხარეში ფრთები შეასხა და დიდი გავლენა მოაპოვებია ადგილობრივი გუბერნატორი, რომელსაც პეკინიდან მცირე დამხმარე ჯარი გამოუგზავნეს, რევოლუციონერების წინაშე ის შედრკა: მან თუმცა ჩინეთის მთავრობას მიშველება სთხოვა, მაგრამ რევოლიუციონური ლაშქარის ძალ-ქვეშ დაყარა იარაღი და 24 მარტს იძულებული გახდა კანტონისა და გუანდუანის პროვინციების დამოუკიდებლობა გამოეცხადებია ამ ნაირად, როგორც ამას შორეულ აღმოსავლეთის კარგათ მცოდნე დიპლომატები აღიარებენ, სამხრეთ ჩინეთის მდგომარეობა კერძოთ და ჩინეთის საერთოდ, დიდათ სერიოზულია

ფიქრობენ და ნამდვილიცაა, რომ, რაკი დამარცხებულმა იუანშიკაიმ ბოლო დროს მაინც უარყო მონარქიის გვირგვინი და ხალხს კონსტიტუციის დასამყარებლათ მოუწოდა, ეს განცალკევებული გარევოლუციონერებული პროვინციები (კანტონი და გუანდუანი) დანარჩენი ჩინეთის ცენტრის, პეკინის ხელმძღვანელობას ცნობენ მასზე რევოლუციონურ გავლენას მოახდენენ. შანჰაის რევოლუციონერები მოითხოვენ: გაიდევნოს სრულიად იუანშიკაი და დამყარდეს ჩინეთში პასუხის მგებელი სამინისტრო.

პატარა ფელეტონი.

იმ—ამი და „ჰორიზონი“ *)

ფედერალისტებს უკიჟინებენ—თქვენ ოცნების ხალხი ხართ, ვარსკვლავებს ეთამაშებით და რაც ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს ესაჭიროება, ყოველივე ამას თქვენ არ ემსახურებითო. განსაკუთრებით უსაყვედურებენ მათ ვაჭრობისა და მრეწველობის უარყოფას. თუმცა, როგორც ეროვნული პარტია, ფედერალისტები ვერც ვაჭრობას აუხვევენ გვერდს, და ჩვენში რამდენი დუქანიც უნდა გაიხსნას დახლიდრობას აბა როგორ აიშორებენ რასაკვირველია, ამას ისინი ალებ-მიცემობის სიყვარულით არ სჩადიან და როდესაც სავაჭრო გაუკოტრდებათ, იტყვიან: რად გიკვირსთ, მეგობრებო, დახლი რომ გაგვიცარიელდა, ჩვენ სოციალისტები გახლავართ და გარწმუნებთ, რომ მოვიგებდით თუ წავაგებდით სულ ერთი იყო: ბოლოს და ბოლოს ყველას სიმდიდრე გათანასწორდებაო.

ასეთი შეცდომები უთუოდ ჩაუდენია ამ ეროვნულ პარტიას, მაგრამ ეს უნდა დავივიწყოთ, ვინაიდან დღეიდან ისინი სულ სხვა გზას ადგებიან და აწ მათ ალებ-მიცემობის ახირებას ვერავინ უსაყვედურებს. ვინც ჩემს სიტყვებში ეჭვს შეიტანს, ინებოს წაკითხვა ერთი ფელეტონის, რომელიც ამ დღეებში გაზეთ „მეგობარში“ დაისტამბა. რასაკვირველია, ამ გაზეთში რამდენი უცნაურობა დაიბეჭდება, ამას ანგარიშს ვინ გაუწევს, მაგრამ ეს ფელეტონი ეკუთვნის იმ-ამის კალამს და ფედერალისტების იმ-ამმა „მეგობარში“ კი არა, და ლობეზე რომ ააკრას თავის პოლიტიკური სიბრძნის ნაყოფი, რას იზამ—უნდა მიხვიდე და გაეცნო

„წარმოიდგინეთ საქმე გაქვთ დიდ ვაჭართან ანა და დიდ კომისიონერთან. მოლაპარაკება გამართეთ საქონლის გაყიდვის შესახებ და მორიგდით ერთმანეთთან შეთანხმებითა და შეძლებისდაგვარათ დათმობით. მეორე დღეს უკვე პირობები უნდა დასწეროთ. მობრძანდება ეს ვაჟბატონი, რომელიც გუშინ დაგეთანხმათ და აპირობს, რამენაირად საქმე ჩაფუშოს. ათასგვარ ხრიკებს მიმართავს, ბოლოს წამოვარდება და გავარდება გარეთ. თქვენ ვერ გაგიგიათ, რა ამბავია. მერე ტყობილობით, რომ თურმე ამ თქვენ კომისიონერს თქვენგან რომ გასულა იმ საღამოს უფრო იაფათ უშოვია საქონელი და პირდაპირ ვერა გითხრათ რა და უეცრათ შესწყვიტა თქვენთან საქმე.

გიკვირთ რანაირათ შეიძლებოდა იმაზე იაფათ ეშოვა საქონელი, რა ფასშიაც თქვენ აძლევდით და ტყობილობთ, რომ დამპალი საქონელი უყიდია და იმისათვის სულ ერთია, იგი ხომ კომისიონერია და სხვას შეატყუებს“

წაიკითხავ და გიამება.—მადლობა ღმერთს, მორჯულებულა ეს გზა აბნეული ხალხი. მიუნებებიათ თავი უსარგებლო ოცნებებისთვის და ალებ-მიცემობის საჭიროებაც კი შეუგნიათ. თუ ფედერალისტების იმ ამი კომისიონერობას ეწევა, ალბათ, მათი კომიტეტები მთლად ბაზრად იქნება გადაქცეული. ეს, „დამპალი საქონლის შეტყუება“, კაცს ცოტა არ მოგეწონება, მაგრამ იტყვი—ახალი საქმეა, ცოტა ხელს მოითფობენ და მერე ასეთს უკადრისობას როგორ ჩაიდენენთქო. ხალისით ჩაყვებით იმ-ამის ფელეტონის კითხვას და, მართლაც, არ მოსტყუვდებით.

ის მოგითხრობს იმ ფრიად საგულისხმო საკომისიონერო საქმეს, ისტორიას, რომელიც იმ-ამმა შექმნა თავის ცხრა ფელეტონით—„ჩვენ და სომხები“. თავალებული ვაჭარი, რომელიც ჩვენ კომისიონერს იმ ამს საქონლის ფასში მოურიგდა, ალბათ, ბეც მისცა, და შემდეგ ამისა წამოვარდა, გარედ გაიჭრა, „ჰორიზონი“ ყოფილა,—სომხური გაზეთი. ახლა მკითხველი თვითონ მიხვდება, რა საქონელზე იყო ასეთი გაცხარებული ვაჭრობა „ჰორიზონსა“ და იმ-ამს შორის. საქართველოს ნაწილი, ბორჩალოს, ახალქალაქისა და ზაქათალის მაზრები ფედერალისტების იმ-ამმა თურმე „ჰორიზონს“ მეტად ხელსაყრელსა და სარფა ფასებში შეაძლია. „ჰორიზონი“ კი ასეთს შეთანხმების შემდეგ წამოვარდნილა, ალიაქოთი აუტეხია, ყველას გვემუქრება და ლამის ერთიანად წაგვლეკოს. ამბობენ, რომ სომხები ვაჭარი ხალხიაო. სად ვაჭრობა და სად ასეთი აურზაური? იქნებ „ჰორიზონს“ უნდოდა ჩვენი იმ-ამის დაშინება. წაიკითხოს მან იმ-ამის მეცხრე ფელეტონი და ნახოს სეირი. იმ ამი „ჰორიზონით“ კამათს ასე ათავებს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“

ჰორიზონიც თურმე თავს იმართლებს-რაო და იმ-ამმა ანგარიშში მომატყუაო საბუთში სამი მაზრა ჩამიწერა, გარიგება კი მეტზე გვქონდაო. ახალციხეც უნდა მოეცა და თბილისის მაზრის დიდი ნაწილიო სიტყვით ვენდე, საბუთი არ ჩამომირთმევია. მან კი რაც ქაღალდში ჩამიწერა. ისიც სადავიდარაბოთ გამიხადა, საქონელი ჩემი არ არისო, მაგრამ მე კომისიონერობას გაგიწევ და ქართველებს ამ მიწების გაცემაზე დავითანხმებო.

ჩვენ არ ვიცით, ვინ არის მართალი იმ ამი თუ სომხური გაზ. „ჰორიზონი“ ეს კი ცხადია, რომ ჩვენ ვსცდებოდით და ფედერალისტებს ალებ-მიცემობის ახირებას უსაფუძვლოთ ვუსაყვედურებდით: რით არის იმ-ამი ცუდი კომისიონერი?

აი, შემოიარეთ ჩვენი ქვეყნის ყველა მოვაჭრე მიაკითხეთ ჩარჩებსაც, რომლებიც ფულისთვის სულსაც კი შეელევიან და შეეკითხეთ—აი მეგობარო, მე მინდა შენი სამშობლოს ერთი ნაწილი სომხებს მივყიდო, დამეხმარე ხელი გამიმართეთქო.

— აი, ბატონო, თუ გნებავთ ინებეთ ეს საქონელი, გეტყვისთ ის და წინ დაგილაგებთ კოჰა-ლარებს, ჩემ ქვეყანას კი მე ვერ გავყიდიო. ასეთს კომისიონერებს შეუძლიან მოგყიდონ ერთი ქცევა, ორი, სამი მაზრებისა და ქვეყნების გაყიდვა მათ ვერც კი წარმოუდგენიათ.

სულ სხვაა იმ ამი, ჩვენი სახელოვანი კომისიონერი, როგორც სამ ქცევას, ისე სამ-სამი მაზრის გაცემას ისე ადვილად გაარიგებს, თუ, რასაკვირველია, ისეთს ხათაბალას არ გადაეკიდა, როგორიც სომხური გაზ. „ჰორიზონია“.

ა—ო

მუშათა შორის.

ნაციონალური ორგანიზაცია ინგლისში.

ამსტერდამიდან გაზ. „ფორვერტს“ ატყობინებენ, რომ ინგლისის საპარლამენტო მუშათა პარტიის წევრმა, სტენტანმა, რომელიც ამას წინად განსვენებულ ცნობილ კეირჰარდის ადგილას იქნა არჩეული მუშათა ახალი ორგანიზაცია დააარსა, სახელწოდებით: „ბრიტანეთის ნაციონალური მუშათა ლიგა“. ეს ახალი მუშათა ორგანიზაცია მიზნათ ისახავს, რომ „დამოუკიდებელ მუშათა პარტიას“ ბრძოლა გაუწიოს და მის ანტისამხედრო პოლიტიკას ეწინააღმდეგოს. ამ ნაციონალისტური მუშათა ლიგის პროგრამის მთავარი მოთხოვნილებაა: მთავარ ნაციონალურ წარმოების დარგებზე ნაციონალური კონტროლის დაარსება, საიმპერიო კავშირის თავდაცვის გამტკიცება და სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღება ინგლისში ყველა მოზრდილთათვის საარჩევნო უფლების მოთხოვნა, აგრარული და სკოლის რეფორმა.

ამ ლიგას გადაუწყვეტია მთელ ინგლისში აგიტაცია გასწიოს, ალბათ ზემოხსენებული პროგრამის გასატარებლათ; მას უნდა აგრეთვე მუშათა პარტიაში „დამოუკიდებლებთან ერთად“ საკუთარი წარმომადგენლები იყოლიოს.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პეტროგრადი. ჩამოვიდა საბერძნეთის ბატონიშვილი გიორგი.

ინგლისის ასპარეზი.

ლაბუსელთან მტერმა მძაფრი იერიში მოიტანა, რომელიც ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ ჩვენ მოვიგერიეთ ჩვენ რამოდენიმე კაცი მოგვიკლეს ჰოჰენცოლერნების რედუტთან მტერმა ნაღმი ააფეთქა, აქ მკაცრი ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენ მარჯვეთ ვუპასუხებდით.

იტალიის ასპარეზი.

ლედროსთან ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ, მტერმა მოახერხა ჩვენი სანგრის გარღვევა. პორსესთან მტერმა წინ წამოიწია, სუღანასთან ბრძოლის დროს ჩვენ დავატყვევეთ 22 კაცი. სიმაგრე რევნილაცზე მტერს სასტიკი იერიში მოჰქონდა, მაგრამ ამაოთ. კარსოდან ჩვენ იერიში მოვიტანეთ სანთმარიასა და სანთგოძლის სიმაგრეებზე, სადაც მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. ლუპერნიში ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი გააჩინა კალადონაცის რაიონში. მტერი ლეპენის ველამდე გავფანტეთ.

პეტროგრადი. 1 აპრილი ხელმწიფე იმპ. აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძანდება.

ბუქარესტი. რადოსლავოვის და გენადიევის პარტიები შეთანხმდენ ამ შეთანხმების წყალობით გაანთავისუფლეს გენადიევი, რომელმაც გერმანიის სამხედრო აგენტების [illegible]ბით ინახულა რადოსლავოვი.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ **ხაწაგლე** (შორ. მაზრ.). მშვენიერია ბუნება ამ სოფლისა. სადი ჰაერით, ანკარა წყაროებით და ადგილ-ადგილ მწვანით შემოსილი გორაკებით საყვარელია ეს სოფელი, მეტადრე ზაფხულობით. აქ არ არის მიწის სიმწირე, როგორც სხვა სოფლებში, თუმცა მოსავალი კი არ იცის სახარბიელო; მაგრამ ხეხილით, აგურის, კრამიტის და სხვა ყოველგვარ ჭურჭლეულობის კეთებით დიდათ დაჯილდოვებულია ხალხის შრომა. რომ კულტურულად ეს სოფელი საწყალობელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი და ნამდვილ უპატრონოდაა მიტოვებული, ეს ხომ ყველასთვის აშკარაა, ვინც ერთხელ მაინც გადუხედავს მისთვის, თუ განგებ არ თვალებს. ახლავს აქ არ არსებობს არც ერთი კულტურული დაწესებულება, რომელსაც შეეძლოს ხალხის გონებრივი თუ ქონებრივი გაღონიერება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ სამრევლო სკოლას, რომელიც მეტად წელიწადაა არსებობს და კიდევ ვერ დგას სასურველ ნიადაგზე ამიტომ ეს სოფელი მოცულია ბევრ ნაირი უბედურების ბურუსით: ერთმანეთ შორის მტრობა-შუღლს, მკითხაობა-მარჩიელობას, ჭორიკანობას და სხვათა ხარჯავს აქ კიდევ ღრმად აქვს ფესვები გადგმული. უეჭველია, უკველოდ ეს აიხსნება კულტურულ და საზოგადოებრივ სარბიელზე მომქმედ ძალთა ნაკლებობით. მართალია, აქ ბევრია ინტელიგენტი, მაგრამ მათი საქმე ჯერ არავის უნახავს; ისინი უფრო ქალაქებსა და დაბებს ეტანებიან, რომ თავის საკუთარ „მეს“ თავის საკუთარ პიროვნებას გაუწიონ ანგარიში. ერთი სიტყვით, ბევრ მათგანს ამ სოფლის ჭირ-ვარამზე ზრუნვა ზედმეტ შრომად მიაჩნიათ. სასურველია, ხსენებული ინტელიგენცია (მისი შემადგენლობა უმეტესად მღვდლები და მასწავლებლები) უფრო მეტ ენერგიას გამოიჩენდეს ადგილობრივ მდაბიო ხალხის კათვითცნობიერებაში, რაც, ცხადია, შეადგენს მათ ზნეობრივ ვალდებულობას.

ხე-კაკუნა

ანგარიში.

ქუთაისში ახალი თეატრის სასარგებლოთ გამართულ „ფინჯანი ჩაის“ 6—13 მარტამდე.

1) მთელი შემოსავალი	2954 მან 22 კ
2) მთელი გასავალი	891 მან. 66 კ
3) წმინდა დარჩა	2062 მან 56 კ.

ეს ფული შენახულია საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. თეატრის ამგები საორგანიზაციო კომიტეტთან არჩეული ბიურო ულრმეს და გულითად მადლობას სწირავს ყველა იმათ, რომელთაც მეტად გულუხვა შ[illegible] მოიღეს და რომელიმ[illegible] მოუტხადეს იმ მაზან[illegible] ელებლათ დაარიგა ზემოთ [illegible] ტეტი ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოებასთან განსაკუთრებით იმ პირთ[illegible] მელთაც თვალსაჩინო დახმარება და [illegible] ბა აღმოუჩინეს „ფინჯან ჩაის“ მო[illegible] გამართვაში მთელი კვირის განმავლობაში, ხელდობრ: 1) მანდილოსნებს დასახელ[illegible] —ე. ხუნთოვისას, კნ. ქ. ბაგრატიონისას, უფიანისას, ნ. ფილიპოვისას, ე. გრიგო[illegible] ასას ნ. მდივნისას, დ. მდივნისას, კნ. [illegible] თავისას, ნ. კვიცარიძისას, გ. ვარდოსანი[illegible] მ. გველესიანისას, ქ. უფიანისას, ს. ბ[illegible] ძისას, კნ. ო. აბაშიძისას, ნ. წერეთლისას, მაჩავარიანს, ბ. მაჩავარიანისას, ვ. ან[illegible] ღისას, კნ. ე. ერისთავისას. კნ. ა. ზა[illegible] ნისას, ე. ალშიბაიას, კ. თ. უფიანისას, მდივნისას, ს. ჭილაძისას, ა. უზნაძისას, ლ. და ნ. ხელთუფლიშვილის ასულთ. ვ. ლსკაიას, ე. დემოსთენ—წერეთლის და ასულთ:—ე. ნიკოლაევა, რ. და თ. თუმა[illegible] ძეთ, ლ. ქელბაქიანი, ე. და ო. ქვარიანი, წერეთელი, ვ. ერისთავი, ნ. მაქელაძე, ვ. ქელაძე, კურჩიშვილი, სიამაშვილი, გ. გ[illegible] ძე, მ. პეტრიაშვილი, ა. ჭიჭინაძე, ვ. ქ[illegible] ე. გრიგოლია, ნ. ბახტაძე, თ. მაჩავარ[illegible] თ. მაჩავარიანი, მ. მაჩავარიანი, ბ. ვარდ[illegible] ნაძე, ნ. კორძაია, ს. თუმანიშვილი, ნ. [illegible] რეშვილი ე. ქუთათელაძე, ქ. გვარამაძე, გაბაშვილი, ე. და მ. დამბაშიძე, ა. [illegible] ვ. ბუკუჩავა, სანიკიძე და მაქელაძე ქალ[illegible] ლებს, რომელნიც უმასპინძლდებოდნენ [illegible] რებს:

3) ბ ფ. ს. ფილიპოვს, რომელმაც [illegible] სეიდლით დაგვითმო საჭირო ჭურჭლეულ[illegible] ჰიანინო, ტრიუმო, და ელექტრონის არმ[illegible] რა; ბბ. ძმებს ჩილინგართვებსა რომელ[illegible] აგრეთვე უსასყიდლოთ დაგვითმეს ბინა [illegible] ესა და მაგიდები; ბ. ი. ალიბეგოვს—[illegible] ბისა და ხალიჩების უსასყიდლოთ დათმობ[illegible] თვის; ყვავილების მაღაზია—„ეხო“-ს [illegible] ბაბუნაშვილისა— დეკორატიულ მცენ[illegible] უსასყიდლოთ დათმობისათვის და საზ[illegible] საკრებულოს საჭირო ავეჯეულობისა და [illegible] ნანგლის თხოვებისათვის უსასყიდლოთ.

საორგანიზაციო კომიტეტთან არჩეული [illegible] უროს წევრები: ბ. ალშიბაიასი, მ. დარჩ[illegible] ფანიძისა, პ. მდივანი

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლო**“

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
—მიღებულია დიდძალი—
საპნის გასაკეთებელი სოდა
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზე ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ავადმყოფნი გონორეით სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავადმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ **მორნისა.**

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტკლიპისა, ჰაჰების და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, ცენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან განსათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავადმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავადმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდნენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს. თქვენი უერთგულესი **ია. ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა ცოტა დაგვიგვიანდა.